ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4707313

ნომერი: AR1712177

თარიღი : 10.10.2019

გაცემის თარიღი : 10.10.2019

გაცნობის თარიღი : 10.10.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თევდორე მღვდლის ქუჩა, N 13ა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი წივწივაძე პ/ნ 01017004442
- თევდორე მღვდელის ქუჩა 13

ორგანიზაცია:
- კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი კოდი: 201990694

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 10 ოქტომბერს №AR1712177 განცხადებით მომართა გიორგი წივწივაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებით ქალაქ თბილისში, თევდორე მღვდლის ქუჩა, N 13ა-ში, N01.13.07.021.313 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, საავადმყოფოს მშენებლობის მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, მშენებლობის სახეობად „ახალი მშენებლობის“ ნაცვლად დაფიქსირებულია „რეკონსტრუქცია“.
სამსახურმა შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია და დაადგინა, რომ განმცხადებლის მიერ 2019 წლის 29 აგვისტოს NAR1703034 განცხადებით მოთხოვნილ იქნა საავადმყოფოს მშენებლობის მიზნით (ახალი მშენებლობა) მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებაში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა.
2. სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 09 ოქტომბრის №4704864 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.